ინსტრუქციები

- თქვენ გაქვთ კონვერტი, რომელიც მონიშნულია როგორც: **B**. გთხოვთ, გადაამოწმოთ მასზე დაბეჭდილი მონაწილის კოდი.
- Question Paper-ი, ორი ცის რუკა და Summary Answersheet-ები მოთავსებულია პატარა კონვერტში **S**. **თქვენ შეგიძლიათ გახსნათ ეს კონვერტი S მხოლოდ მაშინ, როდესაც გამოცდის დაწყების ნიშნად სასტვენი დაისტვენს.** გამოცდის დრო (1 საათი) იწყება ამ მომენტიდან.
- **პასუხების წერა:**

  1. Summary Answersheet:

     - თითოეული კითხვისთვის მოცემულია ცალკე Summary Answersheet. დაწერეთ თქვენი მონაწილის კოდი თითოეული გვერდის თავზე.
     - თითოეული კითხვის/კითხვების ნაწილის საბოლოო პასუხი უნდა ჩაიწეროს შესაბამის კვადრატში Summary Answersheet-ში.

  2. ცის რუკები:

     - გთხოვთ დაწეროთ თქვენი მონაწილის კოდი თითოეულ რუკაზე.
     - რუკების მოსანიშნად/წერისთვის გამოიყენეთ მუქი ფანქარი.

  3. სამუშაო ფურცლები:

     - თქვენი დეტალური სამუშაო უნდა იყოს ნაჩვენები სამუშაო ფურცელზე.
     - სამუშაო ფურცლის ორივე მხარე უნდა გამოიყენოთ. დაწერეთ მხოლოდ ჩარჩოში. დაწერეთ თქვენი მონაწილის კოდი თითოეული სამუშაო ფურცლის ორივე მხარეზე.
     - ახალი კითხვა დაიწყეთ ახალ სამუშაო ფურცელზე. დაწერეთ კითხვის ნომერი ზედა კვადრატში.

- **გამოცდის დასასრულს:**

  - შეამოწმეთ, რომ სწორად გაქვთ დაწერილი თქვენი მონაწილის კოდი და გვერდების ნომრები ყველა გამოყენებულ ფურცელზე.
  - დაალაგეთ თქვენი ფურცლები შემდეგნაირად:
    თითოეული Summary Answersheet (დაწყებული OM01-ით), შემდეგ შესაბამისი ცის რუკა და ნებისმიერი სამუშაო ფურცელი, რომელიც გამოყენებულია ამ კითხვისთვის.
  - ასევე დაალაგეთ თითოეული კითხვის Summary Answersheet, ცის რუკა და ნებისმიერი სამუშაო ფურცელი თანმიმდევრობით.
  - ყველა გამოყენებული ფურცელი, რომელიც ზემოთ აღნიშნული წესით არის დალაგებული, მოათავსეთ პატარა კონვერტში **S**. **ყველა Summary Answersheet და ცის რუკა უნდა მოთავსდეს კონვერტში S მიუხედავად იმისა, გამოიყენეთ თუ არა ისინი.**
  - **მხოლოდ პატარა კონვერტის S შიგთავსი შეფასდება. ნებისმიერი ფურცელი, რომელიც არ არის მოთავსებული ამ კონვერტში, არ შეფასდება.**
  - პატარა კონვერტი მოათავსეთ დიდ კონვერტში **B**.
  - ყველა სხვა ფურცელი, კერძოდ, ინსტრუქციის ფურცელი(ები), კითხვების ფურცელი(ები), მონაცემთა ფურცელი(ები) და გამოუყენებელი სამუშაო ფურცელი(ები) უნდა მოთავსდეს პირდაპირ დიდ კონვერტში **B**.
  - შეაბით ძაფი კონვერტზე **B**.
  - გადაეცით კონვერტი ექსპერტს. დარწმუნდით, რომ მაგიდაზე არ დარჩა არცერთი ფურცელი.